№ 3, თბილისი, 1942 წ. კვირა, 11 იანვარი, გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“ ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი




## არ დავივიწყებთ, არ ვაპატიებთ!

ნახ. გ. ლომიძისა

„... არც ერთ გერმანელს არავითარ პასუხს არ აგებინებენ საბჭოთა მოქალაქეების მკვლელობისათვის, რა უაზროც არ უნდა იყოს ეს მკვლელობა, პირიქით, ამ მკვლელობას აქეზებენ გერმანელი ხელისუფალნი“.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტიდან.

მზის სინათლეზე გამოვიტანეთ ბარბაროსების ჩვენ საქმე ბნელი,
აქ აშკარად სჩანს, რომ აჯილდოვებს მკვლელებს ჰიტლერი თვით
ხალხთა მკვლელი.

არ დავივიწყებთ მათ მხეცურ თარეშს, შურისძიებას ჩვენს თავზე
ვიდებთ.
დე, მან დაჰკიდოს ყაჩაღებს ჯვრები, თვით მას კი თოკით ჩვენ
ჩამოვკიდებთ.

# თავის სიმაღლეზე

ფაშისტური გაზეთები იძულებული გახდნენ ეღიარებიათ, რომ „ალმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი საბჭოთა თვითმფრინავები, უდიდეს სიმაღლეზე ფრინენ და ისინი მიუწვდომელი არიან გერმანიის საზენიტო არტილერიისათვის".

**გაზეთებიდან**

ნახ. ღონისა



— რატომ არ აჩაღებთ ცეცხლს, ჩვენ უნდა გავანადგუროთ საბჭოთა ტექნიკა.
— ვერ ვახერხებთ. მეტად დიდ სიმაღლეზეა.

# ახირებული არიელი

ვ. მ. მოლოტოვის ნოტამ უდავო ფაქტებით დაამტკიცა, რომ ფაშისტ ჯარისკაცთა ბარბაროსობანი წაქეზებულია გერმანიის მთავრობისა და სარდლობის მიერ.

**უცხოეთის გაზეთებიდან.**

უფროსი ეფრეიტორი ტაცბერგი წარბშეჭმუხნილი იჯდა და ხელში ქაღალდის ფარატინს სრესდა. დროდადრო იგი მაგიდას ჩახედავდა და არიული გულმოდგინებით ჩააბულბულებდა ზედ გადაფენილ ინსტრუქციას, რომელიც აგერ მთელი კვირაა, რაც უშუალოდ მიიღო ნაწილის უფროსისაგან. ეს სერიოზული ინსტრუქცია იყო, მეტად სერიოზული — თითქმის მთელი ფაშისტური არმიის სინიდისისა და მოვალეობის გამომხატველი ინსტრუქცია.

„დაკავებული ადგილების უდაბნოს ზონად ქცევის შესახებ"

ასე მეტყველებდა მისი სათაური. გრძელ აბზაცებში კი ვრცლად იყო მოცემული დარიგება თუ როგორ უნდა დაწვან გერმანიის საოკუპაციო ნაწილებმა დაკავებულ ადგილებში ყველა შენობა,ააფეთქონ, დაანგრიონ ნაგებობანი, წაართვან მცხოვრებლებს სურსათი და საკვები — თუკი ასეთი რამ კიდევ შერჩენიათ შემთხვევით. წაიყვანონ, ან დახოცონ პირუტყვი და შინაური ფრინველები.

„ხოლო მოსახლეობა უნდა აიყაროს, — „ბრძანებდა" ინსტრუქციის შემდგომი აბზაცი, — ვინც სამუშაოდ ვარგა, ზურგისკენ, ან ფრონტის საშიშ სამუშაოთა შესასრულებლად უნდა გაირეკოს, დანარჩენებს-კი მოექცენ შეხედულებისამებრ".

რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ იყო გამოტოვებული ის გარემოებაც, რომ თუკი რამ ჩასაცმელ-დასახური, ან მოსახმარად სავარგისი ნივთები კიდევ გააჩნდათ ოკუპირებულ მცხოვრებლებს, უნდა „შეგროვილიყო", რასაც თურმე სლავიანები „ძარცვასა და წართმევას" უძახიან.

ამ „არიული წმინდა მოვალეობის შემსრულებელ ფიურერის მხედრობას" ისინი ყაჩაღებს, ვანდალებს, მკვლელებს უწოდებენ და იქამდე გათამამებულან, რომ ბედავენ ებრძოლონ მათ „უძლეველ" ნაწილებს, ააფეთქონ, დაწვან მათი ალალები და საწყობები, ჩაუსაფრდენ გზისპირად, სროლა აუტეხონ, მატარებლები გადაუგდონ ლიანდაგიდან, ხანდისხან დაკავებულ ადგილებშიც შეიჭრან, ალყა შემოარტყან დაააწიოკონ არიელი მხედრები.

განა ეს არ არის უკულტურობა და ბარბაროსობა? ასე გასინჯეთ, ახლა ის უკულტურო სლავიანები უდაბნოს ზონად ქცევის საქმესაც აფერხებენ.

ჰოდა, აქ კი, ამ დროს, ეფრეიტორ ტაცბერგის ნაწილში აღმაშფოთებელ დაუდევრობასა აქვს ადგილი: გამოსულა ვიღაც ჰანს დაუბერე და როცა სხვა არიელები აგროვებენ მოსახლეობის ქონებას, ესე იგი, როცა ისინი ასრულებენ ამ სერიოზულ ინსტრუქციას, იგი ხელსაც არ ანძრევს.

საბანი რა არის, ერთი საბანიც კი არ წაურთმევია გლეხებისათვის.

— ასეთი დაუდევრობისათვის მას ზედმეტი სახელიც კი შეარქვეს, — გასწურა ტაცბერგმა კბილებში, „ახირებულ არიელს" უძახიან. ლაწირაკი, არამზადა. აქ უთუოდ რაღაც მიზეზია, ფრთხილად ტაცბერგ, შეთქმული არ იყოს, შემოჩენილი არ გამოდგეს.

ტაცბერგმა მაგიდას ხელი დაჰკრა და ხმამაღლა დაიყვირა:

— ჰეი, მედღევე!

მედღევე ჯარისკაცი დაფეთებული შევარდა, სარჩაყლაპულივით გაიჭიმა.

— ჰანს დაუბერე გამოცხადდეს ჩემთან!

სარჩაყლაპული გავიდა და ცოტახანს შემდეგ კარებში გამოჩნდა ქერა სახის, თვალებჩაცვენილი, მხრებში მოღუნული ჯარისკაცი, რომელიც ჰროლა თვალებს წუწკ კატასავით აცეცებდა.

— თქვენის ბრძანებით, ჰანს დაუბერე გამოვცხადდი, ჰერ ეფრეიტორ!

— აჰა-ა-ა! ჰანს დაუბერე, ესე იგი მოსყიდული ჯარისკაცი არა?

— მე ეგ არ დამიმსახურებია ჰერ ეფრეიტორ.

— უკეთესია პირდაპირ სთქვა — ხომ წინააღმდეგი ხარ ჩვენი ნაწილის მიერ დაკავებული ადგილის უდაბნოს ზონად გადაქცევისა?

— მე ეგ ეჭვი არ დამიმსახურებია, ჰერ ეფრეიტორ!

— მაშ რით უნდა აიხსნას, რომ შენ მონაწილეობას არ ღებულობ მოსახლეობისათვის სავარგისი ნივთების ჩამორთმევაში?

— როგორ არა, როგორც თქვენ გვიბრძანეთ კოლმეურნეობას ჩამოვართვით ყოველგვარი საკვები, შემდეგ კოლმეურნეობის წევრების ოჯახები გავჩხრიკეთ და რაც პური და კარტოფილი ვიპოვეთ — სულ ჩამოვართვით ჩვენი ნაწილისათვის.

— მე იმას არ გეკითხები, არამზადავ, რაც არმიის საჭიროებისათვის გაკეთდა, მე გეკითხები ინდივიდუალურად რა გააკეთე მეთქი? რით უნდა აიხსნას, რომ არც ერთი ამანათი არ გაგიგზავნია ზურგში?

— არის მიზეზი ჰერ ეფრეიტორ!

— მეც მაგას ვამბობ, რომ შენ შეგნებულად იქცევი ასე.

— დიახ, შეგნებულად, ჰერ ეფრეიტორ!

— აჰა, მაშასადამე, შენ სლავიანების მომხრე და არიელების წინააღმდეგი ხარ არა?

— რა ბრძანებაა ჰერ ეფრეიტორ?

— მაშ ალბად ჩვილი გულის პატრონი ბრძანდები — და არ შეგიძლიან ესროლო ბავშვს, ხიშტზე ააგო ქალი, თოფის კონდახი უთავაზო საფეთქელში მოხუცს, რომელიც წინააღმდეგია იმისი, რომ მისი სლავიანური ქონება წაიღო არა?

— ეგ რა საკადრისია ჰერ ეფრეიტორ? — მე ხომ არიელი ვარ, ფიურერის ჯარისკაცი.

ტაცბერგს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა და ცნობისმოყვარეობით დააკვირდა დაუბერეს: „მაშ სჩანს, არც ისე წამხდარი ყოფილაო" — გაიფიქრა.

— მაშ რა მიზეზია მეგობარო ჰანს? — ტკბილად ჩაეკითხა იგი ბოლოს.

— ერთობ სერიოზული მიზეზი, ჰერ ეფრეიტორ! — ოჯახური მიზეზი გახლავთ: მე სახლში ცოლის მეტი აღარავინ მყავდა. რაც აქ დავბანაკდით, წერილი მივიღე, რომ ჩემი ცოლი გათხოვილა, ბინაც გამოუცვლია და სხვა ქალაქში გადასულა. მწერდა — აღარ გამიხსენო, შენთან საერთო აღარაფერი მაქვსო. მეც იმის ჯიბრით აღარავის ვძარცვავ და არც ამანათს ვუგზავნი. ან ვის გავუგზავნო?

ტაცბერგს სიხარული გადაეფინა სახეზე, შემდეგ გაიღრიჭა და ჰანს დაუბერეს ხელი გაუწოდა.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა. შენ მართლაც მიზეზი გქონია, ჩემო კეთილო, მე კი მეგონა, გადაგვარდა მეთქი. მაგრამ ერთი შეცდომა მაინც მოგსვლია — ამხანაგებს არ უნდა ჩამორჩენილიყავ, ეჭვი არ უნდა გამოგეწვია. ოჯახი თუ აღარა გაქვს, მე ხომ აგერა ვარ, ში კაი კაცო შენა ჰა? — იმედია მაგ შეცდომას გამოასწორებ... და ეფრეიტორმა მაგრად ჩამოართვა ხელი იშვიათ არიელს, რომელიც მოულოდნელი კმაყოფილებისაგან უფრო მეტად გაეჭიმა და შეჰყეფა.

— არის ჰერ ეფრეიტორ!

**ფარსადანი**

# ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს?

„გერმანიის გენერლებს შორის მნიშვნელოვნად გაძლიერდა ოპოზიცია ჰიტლერის წინააღმდეგ“.

გაზეთებიდან

თუკი პატრონს ძაღლის მიმართ
მზრუნველობა არ ეტყობა,
მაშინ ძაღლიც პატრონს ვერ ცნობს
და ძაღლურად მას ეპყრობა.

ფონ ბრაუხიჩს შიშის გამო
დაეკარგა კაცის ფერი,
როცა ბრაზით, ცოფმორევით
მას ტუქსავდა, „ფიურერი“:

— დღემდე როგორ ვერ აიღე
მოსკოვი და ლენინგრადი,
თუ ბრძანებას არ ასრულებ,
არ ვიხილო შენი ლანდი.

დიდი რამე კი გგონია
შენ სარდლობა ჩვენი ჯარის, —
ვერ შევძლებ თუ? მაშ, რატომ ვარ
მე პატრონი რკინის ჯვარის?

მე, გიტლერი, შენს მაგიერ
მთავარსარდლად ვნიშნავ გიტლერს, —
სხვა რა გზაა, — ველარ ხედავთ
ჩვენ წითელი ჯარი გვიტევს?

ეფრეიტორს მთავარსარდლად
გენერლებში ვინ მოითმენს?
მათი გული ბრაზით სავსე
დამცირებას ველარ იტევს.

აგერ ვნახოთ! ნუ გგონიათ:
„ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს!
ასასრულის დასაწყისი
იმათ უკვე დაინახეს.

ყუმბარა

# კომარი აღრჩობს

ჩადენილ დანაშაულებათა გამო შურისძიების შიშით შეპყრობილი ჰიტლერი და მისი დამქაშები აძლიერებენ აგიტაციას იმის შესახებ, რომ გერმანიის ბედი ბეწვზე ჰკიდია [illegible] მეტი მოთმინება არ გამოიჩინა, მესამე იმპერიას [illegible]

გაზეთებიდან

ნახ. ი. კროტკოვისა




გასცქერის სივრცეს „ფიურერი — მთავარსარდალი“,
ეძებს „ბრწყინვალე გამარჯვების სხივოსან ვარსკვლავს“,
მაგრამ ბნელ წყვდიადს ველარ არღვევს მისი შანდალი,
და დასასრულის დასაწყისს სჭვრეტს — მისთვის გულსაკლავს
ხმა იდუმალი თითქოს. ესმის — მგვრელი შიშისა,
„აწ დგება ჟამი — საბოლოო ანგარიშისა“.

# გრანდეს მუნოს... მაიმუნობს

გენერალმა მუნოს გრანდემ საბჭოთა ჯარებისაგან განადგურებულ ესპანელთა „ცისფერ დივიზიას“ გამარჯვება მიულოცა.

გაზეთებიდან

ერთხელ მოლა ნასრედინი
მსუნაგი და წვერცანცარა,
ხალვის „ეშხით“ მოხიბლული
სხვის დუქანში შეიპარა.

მიიხედა, მოიხედა,
და პატრონი რომ ვერ ნახა,
მოიზიდა ხალვა მუჭით
ამოივსო პირი, ხახა.

მაგრამ სანამ შეყლაპავდა
მას პატრონი თავს წაადგა
და მისთანა თქვენს მტერს, მაშინ
რაც ნასრედინს დღე დაადგა:

მასპინძელმა „სტუმრისათვის“
მოიმარჯვა ხელში კეტი,
დაუზილა გვერდი მაგრად
და დაასხა თავში რეტი.

და როდესაც ცოცხალ-მკვდარი
ბრუნდებოდა მოლა გზაზე,
კრულვის ნაცვლად, ბედს მადლობას
უგზავნიდა მოლა ასე:

ეს რა ხეირს შევეყარე,
ბედო, ჩემო შემწყალეო,
გმადლობ გულით, რომ ამნაირ
უხვ მასპინძელს შემყარეო.

არ მინახავს იმისთანა
უხვი, ვფიცავ მამასაო,
კეტის ცემით მაძალებდა
ტკბილი ხალვის ჭამასაო.

*

* *

რაც რომ „ცისფერ დივიზიას“
ჩვენგან ერგო სარფა „ტკბილი“
მასთან ბედი ნასრედინის
ზღაპარია მოგონილი.

განადგურდა ჩვენგან ცემით,
მოსწყდა თავი, მოსწყდა წელი,
და კაციც კი მალე ლამის
არ გადურჩეს ამბის მთქმელი.

მაგრამ მაინც მუნოს გრანდეს
მოლასავით გულს იოხებს
და ულოცავს საიქიოს
გამარჯვებას მკვდართა ჩონჩხებს.

რა ქნას... ჭკუის ჭახრაკები
მოშვებია გრანდეს მუნოსს
და მიბაძვით მოლასავით
თავს ირთობს და მაიმუნობს.

მედუზა

## ფიურერის სიტყვა და საქმე

მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა თავი მთავარსარდლად გამოაცხადა, გერმანიის ჯარი შეუჩერებლივ იხევს უკან წითელი არმიის გმირული დარტყმების გამო.

**გაზეთებიდან**

ნახ. **მ. ვადბოლსკისა**



ბებერ ბრაუხიჩს უკვანტა
თვით გახდა „მთავარსარდალი“,
მოაჯდა ომის მანქანას,
ტრაბახით ენის ტარტალით;
თქვა: „აწ იხილეთ ფრონტებზე

თქვენ ჩემი სალტო-მარტალი!“
სთქვა და ვიხილეთ ნაცისტთა
იმედის კოშკის დაქცევა:
ჩვენ იმათ დარტყმა ვაჩვენეთ,
მათ კი — „გმირული“ გაქცევა.

# პატარა მოთხრობები

## ნებაყოფლობით

— ვინ ვარ მე? — შეეკითხა ჰიტლერი თავის თავს.
— მე ვარ სრული ტევტონური რასისა.
— ვინ ლაპარაკობს ჩემი ბაგეებით?
— არიული რასა.
— მე ვარ რასის სურვილის გამომხატველი. ჩემი სულიერი, ფიზიკური თუ მატერიალური მე — განსახიერებაა გერმანელი ხალხისა, მათი ნება-სურვილისა. — წარმოსთქვა ფიურერმა და თავის მისაღებ ოთახში სარკესთან ისე გაიჯგიმა, თითქოს უკვირდა, როგორ ახერხებს დედამიწა ჩემი სიმძიმის ზიდვასო.

რამდენიმე წუთში მასთან არმიის სარდალი გაჩნდა.

— ცუდად არის ჩვენი საქმე.
— თქვით დაზუსტებით.
— აღმოსავლეთში დიდ ხიფათში ჩავვარდით.
— მაინც?
— ვიყინებით.
— ფიქრი ნუ გაქვთ!
— წითლების მოწოლას ვეღარ ვუძლებთ.
— ფიქრი ნუ გაქვთ. გერმანელი ხალხი დასძლევს სიძნელეებს.
— ხალხიც უკმაყ...
— რაო? თქვენ გინდათ თქვათ ხალხიც უკმაყოფილოაო? სიცრუეა. მაგას ბოლშევიკური პროპაგანდის სული უდის. გერმანელი ხალხი მე მიჯერის და მე მომყვება. მე გერმანელი ხალხის ნებასურვილს ვასრულებ.
— მართალია, ჰერ... — ძლივს წაილუღლუღა ფაშისტ მბრძანებლის შენიშვნით შეშინებულმა სარდალმა.
— რა გაკლიათ თქვენ? გცივათ?! თბილ ტანსაცმელი? ჩვენ უკვე ვაგროვებთ თბილ ტანსაცმელს. თქვენ მიიღებთ მას. ასეთია გერმანელი ხალხის ნება-სურვილი.
— არ გვაძლევენ ჰერ!
— მაშ მე მივიღებ საჭირო ზომებს! — იცხარდა ფიურერი და ხელად გამოაცხო ასეთი ბრძანება:

„იმ მოქალაქეთათვის, რომელიც ნებაყოფლობით თბილ ტანსაცმელს არ ჩააბარებს გესტაპოს, დაწესდეს უმაღლესი სასჯელი: დახვრეტა“.

## სამუდამო ბინები

დასავლეთის ფრონტიდან გაქცეულმა გერმანელებმა საჭურველთან ერთად საძმო სასაფლაოც დასტოვეს.

— ნეტა ვინ მარხია ამ ადგილზე? — შეელაპარაკა მეორეს შემთხვევით გამვლელი მგზავრთაგანი.
— ყველა ნიშნები იმას ამბობს, რომ ესესტრების სასაფლაოა.
— მაინც რას გვაკლავდნენ თავს ამ მხრივის უცხო, მხარეში? რა უნდოდათ?
— მოსკოვი!
— ახია მაგათზე, რა უნდათ ჩვენს მოსკოვში?
— საზამთრო ბინები!
— მერე ხომ დარჩნენ ცარიელ ტარიელი?
— რატომ, მიიღეს!
— ხის ჯვრები?
— დიახ, თავიანთი გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს: საზამთრო ბინები უნდოდათ და სამუდამო ბინები მოიპოვეს.

**ს. ისარიძე**

## წვიმები და „წვიმები“

ნახ. **დონისა**



1. ფაშისტების განცხადებით შემოდგომაზე „მოსკოვზე გერმანელების გალაშქრებას ხელს უშლიდა წვიმები...“

2. ...მაგრამ ახლაც არ ასვენებთ „წვიმები“.

## ქვალი, ჯამბაზი და მყეფარები

„გერმანელი ფაშისტები ცდილობენ მიიღონ რუმინეთში და უნგრეთში ახალი მაშველი ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გასაგზავნად. ამის სანაცვლოდ ორთავეს ცალ-ცალკე ჰპირდებიან, ტრანსილვანიის საკითხს თქვენს სასარგებლოდ გადავსჭრითო“.

**გაზეთებიდან**

ჰიტლერელებს ხელთ უპყრიათ
ერთი დიდი ძვალი.
უნგრელებს და რუმინელებს
მისკენა აქვთ თვალი.

იმა ძვალსა უწოდებენ
ტრანსილვანიასა, —
და ჯამბაზი რიბენტროპი
ათამაშებს ძვალსა.

ჩაფრინდება ბუქარესტში,
ეტყვის რუმინელებს:
— „აი ძვალი! თქვენი იყოს
თუ მოუპერთ ხელებს.

მაგრამ უნდა მოგვაშველოთ
მილიონი ჯარი.
ხომ კი ხედავთ, მოგიტანეთ,
ძვალი თქვენი არი?!“

იქიდან კი რიბენტროპი
ბუდაპეშტში მიჰქრის.
უნგრეთს ეტყვის: „აი ძვალი!
ნუღარა გაქვთ ფიქრი!

მაგრამ მე მწამს დააფასებს
ამაგს თქვენი ერი —
ცხენოსანთა ჯარს მოითხოვს
ჩვენი ფიურერი.

და რა წამსაც ჯარს მივიღებთ
თქვენც იხარებთ ძვალით,
თუ არა და ვეღარ ნახავთ
ვერასოდეს თვალით!“

ასე დაჰქრის რიბენტროპი
ფლიდი, არამზადა —
და ღვივდება ძვალისადმი
მყეფარების მადა.

**ყირიმელი**

## ფაშისტურ გერმანიის ავიაციის სამინისტროში



— რატომ არიან ჩვენი ავიაციის მესვეურნი ასე მოწყენილი და ფრთებჩამოყრილნი?
— მაშ რილათი უნდა აღფრთოვანდნენ, როდესაც ამოდენა ფრთები დაჰკარგეს?

## ერთერთი საშუალება

რუმინელ ჯარისკაცებს აეკრძალათ ბრძოლის ველიდან დაჭრილების გაყვანა, რადგან ისინი სარგებლობენ ამ საბაბით და ფრონტიდან გარბიან.

ნახ. **ი. დივნოგორცევასი** — **გაზეთებიდან**



**რუმინელი ჯარისკაცები** (დაჭრილ ამხანაგს) ნება მოგვეცით ჩვენ გაგიყვანოთ.

**დაჭრილი** თქვენ მე გამიყვანეთ და მე თქვენ გაგიყვანთ.

## გერმანული ნანა ფინეთს

ცოტა ხნის წინათ გერმანელებმა წაიღეს ფინეთის მიერ შეძენილი კარაქი, ფინეთიდან ერეკებიან პირუტყვს და გააქვთ ყოველგვარი ხორციელი და თბილი ტანსაცმელი.

**გაზეთებიდან**

პატარა ხარ, გამეზრდები
და ნატვრის თვალს მპოვებ.
მე ამ კარაქს მივუჯდები,
შენ თითები სწოვე.

თბილ საბნის ქვეშ, სიცხისაგან
დამეტანჯე განა?..
მაშ წავიღებ მე ამ საბანს,
ნანა შვილო, ნანა...

გულამოსკვნით რისთვის ოხრავ
შენ წყვდიადში ღამის?
არ გაძინებს ალბად ძროხა,
ბოსელში რომ ბღავის.

ნუ, ნუ სწუხარ გენაცვალე,
ძროხას ხბოიანად,
გავაგზავნი ბერლინს მალე,
ნანა შვილო, ნანა...

მაშ გახჭიმე მშვიდათ ფეხი,
გასუქდები უცებ...
სჯობს ხიზმარში სჭამო ძეხვი,
აღარ გატკენს მუცელს.

საარსებოდ მოგცემ სივრცეს,
აგიყვავდეს ყანა...
შენ კი შიშით გული გიცემს,
ნანა შვილო, ნანა...

გამეზრდები, ნუ გაქვს შიში,
ვამბობ საკეთილოდ.
ო, გებელსის ღია პირში
ბუზი ხდება სპილოდ.

შენთვის ვიწვი, შენთვის ვდნები,
ვინ მყავს შენისთანა?..
მაგრამ... მგონი უკვე კვდები...
ნანა... „შვილო“, ნანა...

**დავით გაჩეჩილაძე**

გენერალი ფონ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ი. განფისა („კროკოდილიდან“)



ეს არამზადა ლურჯა ცხენით შედიოდა საბჭოთა ქალაქებში და ოცნებობდა:
— აი, გავაუქმებ მეცნიერებას, მოვსპობ კულტურას და გავბატონდებით. მან მთელი თავისი სიმხეცით სცადა ჩვენი კულტურის გაუქმება იასნაია პოლიანაში, ტიხვინში და სხვაგან.

# ხელთათმანი

„სს“-ის დივიზიის ას პირველი პოლკის უმცროს ეფრეიტორს იოჰან კალტენფუსს დიდიხანია უნდოდა ცოლისათვის ბარათი გაეგზავნა ბერლინში, რომელშიც სურდა აეწერა თავისი უმწეო მდგომარეობა. საქმე იმაში გახლდათ, რომ იოჰანი იყინებოდა თავის გაბინძურებულ საზაფხულო მაზარაში და გაცვეთილ ფეხსაცმელებში.

ამავე დროს მან კარგად იცოდა, რომ მის მეუღლეს კლარას ძველ სკივრში ზოგი რამ ისეთი ნივთები მოეპოვებოდა, რაც მას დიდათ გამოადგებოდა ამ გაჭირვების დროს.

რა კარგი იქნებოდა ცოტა თბილი ტანსაცმელი ამ პირქუშ რუსულ ზამთარში; აგრეთვე, რა თქმა უნდა, — ფეხსაცმელიც. გერმანელ ჯარისკაცს ფეხი თბილად უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო დროს, მისი ფეხები უარს იტყვიან საკმაოდ სწრაფ გაქცევაზე და მოსალოდნელია ზურგი აუწვას რუსულმა ხიშტმა.

წერილი უეჭველად უნდა გაეზავნა, მაგრამ დაბრკოლებას წარმოადგენდა პოლკის ცენზორი ფონხაპენი. ეს წყეული ლოთი არ უშვებდა ჯარისკაცის არც ერთ წერილს, რომელშიაც სიმართლის ნიშანწყალს შენიშნავდა, თუ წერილის ავტორი წინასწარ არ იზრუნებდა, რომ წერილისათვის, მარკის ნაცვლად, თან დაერთო თუნდაც ნახევარი ბოთლი რაიმე სპირტეული—დაწყებული პოლიტურიდან დამთავრებული ოდეკოლონით.

მაგრამ იოჰანს არავითარი სპირტი არ მოეპოვებოდა, ამიტომ, ბევრი ფიქრის შემდეგ, გადასწყვიტა ისე დაეწერა წერილი, რომ შიგ ლოთ ცენზორს საწინააღმდეგო ვერაფერი აღმოეჩინა. წერილში არ უნდა ყოფილიყო არავითარი წუწუნი. წერილი უნდა ყოფილიყო ისეთი, თითქოს ფრონტიდან კი არა კურორტიდან ყოფილიყოს გაგზავნილი.

ორი დღის ფიქრის შემდეგ, როგორც იქნა იოჰანმა შეადგინა თავისი ეპისტოლე.

„ძვირფასო კლარა, — სწერდა იოჰანი, — ჩვენმა ძვირფასმა ფიურერმა ჩვენ ყველანი უზრუნველგვყო თბილი ტანისამოსითა და ფეხსაცმელებით. ამიტომ ძალიან გთხოვ ნუ გამომიგზავნი მე განსვენებულ მამაშენის ნაქონ ძველ ფეხსაცმელებს. გევედრები ნუ გამომიგზავნი! ნუ გამომიგზავნი რაც შეიძლება დაჩქარებით! ფეხსაცმელებთან ერთად, როგორც მახსოვს დევს ცხენის ძველი საოფლე ქეჩა შეახვიე მასში ფეხსაცმელები, ქეჩა გამომადგება საბნის მაგიერ.

მე ვიცი შენ ნივთების გაცემა ძლიერ გენანება... მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ახლა შეეცდები დამიმტკიცო რომ მე სწორს არ ვამბობ და მოისურვებ გამომიგზავნო შენი შალის მოსასხამი, რომელიც მე გისაჩუქრე შარშან ახალწლისთვის. დიახ, დიახ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ არ დაიშლი და გამომიგზავნი!“

იოჰანმა კმაყოფილებით გადაიკითხა წერილი და ჩააგდო საველე ფოსტის ყუთში.

ათი დღე გავიდა. იოჰანი მოუთმენლად ელოდა ამანათს და მხოლოდ მასზე შიშობდა: მომაგნებს თუ არა ამანათი, თუ შემდეგ დღეებშიაც ასეთი სისწრაფით მოგვიხდა უკან დახევაო.

მისი შიში ტყუილი გამოდგა, ამანათი მან მიიღო.

იოჰანმა დასტაცა ხელი ლურსმნის ერზაცით დაჭედილ ხის ყუთს და ორივე ფეხით აკოჭლებული გაეშურა კოცონისაკენ. (მან არ იცოდა, თუ შეიძლებოდა ორივე ფეხით კოჭლობა, მაგრამ რუსეთის ზამთარმა აიძულა ბევრ რამეზე დაფიქრებულიყო).

იოჰანმა ძლივს გახსნა ყუთი ყინვისაგან დამზრალ ხელებით. ყუთში უამრავი ბურბუშელა აღმოჩნდა. ბურბუშელას ქვემოთ, როგორც იქნა გამოჩნდა ნამდვილი ნივთი: ყუთის ფსკერში იდო ძველი დაგლეჯილი, ქალის ხელთათმანი.

იოჰანი გაკვირვებით აცქერდებოდა ამ უცნაურ საჩუქარს, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა მხოლოდ ცალხელა კაცისათვის. შემდეგ მას გაახსენდა, რომ ამანათთან ერთად გადასცეს წერილიც. მან ამოიღო ჯიბიდან კონვერტი, გახსნა და წაიკითხა:

„ძვირფასო იოჰან! მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ ყველაფერი უხვად გაქვს. ჩვენაც აქ, დიდება ფიურერს, ვცხოვრობთ — არ ვწუწუნებთ. ამ დღეებში დაიწყეს თბილი ტანსაცმლის შეკრება. ეს ამბავი ჩვენ ყველას ძლიერ გვახარებს. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ტანსაცმლის შემკრებნი გულნაკლულად არავის სტოვებენ, არც ულარიბეს ხალხს, ისინი არ უკადრისობენ, დადიან და აგროვებენ ყოველგვარ ძველა-ძვულას. ის ფეხსაცმელები, რომლის შესახებაც შენ მწერდი მიაგნეს და სიამოვნებით წაიღეს. ისინი გულდასმით ეძებდნენ ყველგან: სკივრებში, სხვენზე, ტახტების ქვეშ. განსაკუთრებით მხიარულ გუნებაზე დავდექი, როცა მიაგნეს ჩემი შალის მოსასხამი და სხვენიდან ჩამოათრიეს ცხენის საოფლე ქეჩა.

გიგზავნი მას, რაც გადარჩა ამ მხიარული კამპანიის შემდეგ. შენ შეგიძლია ატარო ეს ხელთათმანი შენაცვლებით ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ხელზე. არაობას ესეც აჯობებს.

შენი კლარა“.

იოჰანმა წყევლა-კრულვით გადაიკითხა წერილი, შემდეგ გაისინჯა ხელთათმანი და ასე ეჩვენებოდა,— ის ხელი, რომელზეც ხელთათმანი ჰქონდა თითქოს უფრო მეტად ეყინებოდა.

ა. შ—ი

—ვანდალ ფრაბახზერგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. დონისა



მაგრამ...
ის თვითონ გააუქმა ჩვენმა კულტურამ.

## აქ მოდი ჩემო მურაო...

„ამას წინათ ჰიმლერმა გასცა განკარგულება „გერმანელი გენერლების პირადი დაცვის გაძლიერების შესახებ“. ამ განკარგულების მიზანია გააძლიერონ კონტროლი გერმანიის გენერალიტეტის ოპოზიციური ელემენტებისადმი“.

გაზეთებიდან

ჰიტლერმა უთხრა ჰიმლერსა:
„აქ მოდი ჩემო მურაო,
შენ ერთი დამრჩი ერთგული,
სხვა ყველა დამემდურაო.

ვგრძნობ ბრაუხიჩის დოსტები
ამბობენ ჩემზე ძვირსაო,
რა ვუყო, რა მოუხერხო,
რით გადავურჩე ჭირსაო!“

ჰიმლერმა ჰკადრა: „ამაზე
ნუ სწუხარ ჩვენო მესია!
საეჭვო გენერლებისა
შედგენილი მაქვს მე სია.
მაგრამ მე ჩემი ხერხი მაქვს
ვმოქმედებ დაფარულადა,
მე იმათ მტრულად კი არა
ვექცევი „მეგობრულადა“.

მე ყველგან მახე დავაგე,
სადაც მეგულვის ხვრელები,
ყველა საეჭვო გენერალს
ჰყავს „საპატიო“ მცველები.
ვითომდა მათ ვუფრთხილდები
შიში მაქვს მათი წყენისა,
ნამდვილად: მცველნი არიან
ჩემთან მომტანნი ენისა.
და ვისაც არ სწამს რომ შენ ხარ
ახლად მოსული მესია:
საკადრის ჯილდოს მიიღებს,
როგორც გესტაპოს წესია!

გალი

## ინსტრუქციის თანახმად

ტყვე ფინელ ჯარისკაცს აღმოაჩნდა ინსტრუქცია, რომლითაც ფინელებს ევალებათ ძარცვონ წითელარმიელები, არ შეარჩინონ მათ თეთრეულიც კი, თუ კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ.

გაზეთებიდან

ნახ. ს. ნადარეიშვილისა.



— ჩვენ ხომ უბრალო ქურდბაცაცები არა ვართ, ჩვენ გამოცდილი მძარცველები ვართ.

რედაქციის კოლეგია

რედაქციის მისამართი: ყორესის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1942 წ. 28/I. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, გამომც. № 4. შეკვეთა № 125. უე 1239. ტირაჟი 15.000.

42-12

## დამსახურებული საზღაური

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტას გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი მხეცობის შესახებ მთელი კულ-ტურული კაცობრიობა უყურებს, როგორც მრისხანე განაჩენს, რაც საბჭოთა ხალხებმა სრულიად და-მსახურებულად გამოუტანეს ფაშისტ ბარბაროსებს.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა




განაჩენი სისრულეში მოყვანილი იქნება სულ ახლო მომავალში.